KA030155948204018

№ 01-2588 **06 / თებერვალი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა თქვენი 29.01.2018 N01-1811 წერილი, რომელსაც თან ერთვის საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წერილი (26.01.2018 N829/4-13) და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოგიდგენთ ინფორმაციას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანებისა შესრულების მიმდინარეობის შესახებ:

1.1. გლობალური ამოცანა: 2030 წლისათვის ყველგან ყველა ადამიანისათვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.25 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით.

1.1.1.საქართველოსთვის მისადაგებული მიზანი:

2030 წლისათვის საქართველოს ყველა ნაწილში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; უკიდურესი სიღარიბე ამჟამად იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით

საბაზისო ინდიკატორი: უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა: 2014-9.77%.

პროგრესი: ამ ინდიკატორის წყარო არის მსოფლიო ბანკი და მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2015 წელს ეს მონაცემი შეადგენს: 8.3%[1].

1.3. გლობალური ამოცანა: ყველა ადამიანისათვის განხორციელდეს სოციალური დაცვის ქვეყნისთვის შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები, და 2030 წლისთვის მიღწეული იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა

1.3.1. საქართველოსთვის მისადაგებული მიზანი:

სოციალური დაცვის ძირითადი სისტემებით დაფარულია ამის საჭიროების მქონე მოსახლეობის სულ მცირე 35%; მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს სქესის მიხედვით, ბავშვების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების გამოყოფით

საბაზისო ინდიკატორი: 2015 წელს საჭიროების მქონე მოსახლეობა დაფარულია: მიზნობრივი სოციალური დახმარებით, სქესის მიხედვით: 2015 - 7.4% (გარდა სოციალური პაკეტის მიმღებების და პენსიონრებისა), ბავშვები: 27.8, ქალები: 54.7%; სოციალური პაკეტი: 4.5%, საიდანაც 20% არიან ბავშვები, ხოლო 38% - ქალები, პენსიები 19% - ქალები 70.7%

პროგრესი: 2018 წლის იანვრის მდგომარეობით საჭიროების მქონე მოსახლეობა დაფარულია: მიზნობრივი სოციალური დახმარებით, სქესის მიხედვით: 8.2% (გარდა სოციალური პაკეტის მიმღებების და პენსიონრებისა),

ბავშვები: 36.5%, ქალები: 54.3%; სოციალური პაკეტი: 4.5%, საიდანაც 20.3% არიან ბავშვები, ხოლო 37.4% - ქალები, პენსიები 19.7% - ქალები 71%.

ძირითადი პროგრამები/პროექტები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა მიზნის მისაღწევად:

ასაკით პენსიის 180 ლარამდე ზრდა 2016 წლის ივლისიდან, ასევე სოციალური პაკეტის 180 ლარამდე ზრდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შშმ ბავშვებისთვის.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შეღავათები მაღალმთიან დასახლებებში. კერძოდ, პენსიის 20%-ის დანამატი მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისათვის, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის 20%-იანი დანამატი. 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებულ ყველა ბავშვზე, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ყოველთვიური დახმარების გაცემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის კერძოდ, შეფასების მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემის ცვლილება, რომელიც 2015 წლიდან მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა და რომელიც უფრო მეტად ორიენტირებულია ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე.

აღსანიშნავია, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კეთოლდღეობის 2015 წლის კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, უკიდურესი სიღარიბე ბავშვებში 6%-იდან შემცირებულია 2.5%-მდე, ხოლო მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბე - 3.9%-დან 2.1%-მდე. ზოგადი სიღარიბე ბავშვებში შემცირებულია 28.4-დან 21.7%-მდე, ხოლო მოსახლეობის - 24,6%-დან 18.4%-მდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად უწყვეტად გაგრძელდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამები.

პატივისცემით,

---

[1] https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.DDAY?end=2015&locations=1W-GE&name_desc=true&start=1981&view=chart

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნინო ოდიშარია